ს.-ქ.-რთ. ქემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველგვერდზე 500 ათასი მან. უკანასკნელზე 300.000 მან. განცხადება 10.000 ნომპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190. ტელეფონი 10—34.

№ 379
სამშაბათი, დეკემბერი 25
1922 წ.

გაზეთის ფასი ყველგან 5.000 მ.

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელისმომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

თავზარდაცემული მშობლები იასონ და თამარ, დაიკო ქეთინო და ძამიკო გოგი გაბილაია ცრემლმორევით აცნობებენ თავის ნათესავთ, მეგორებსა და ამხანაგებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა დეკემბრის 22-ს საღამოს 9 ს. 30 წ. ქალაქ ტფილისში უდროოდ გამოტაცა მათ მეორე უსაყვარლესი არსებაც

აბესალომ გაბილაია

პუპური-პუპა-ტოტა-ტოტიკო

პირველთა ვაჟიკო, მეორეთა ძამიკო.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

363 ბინა: უნივერსიტეტის ქუჩა, სახლი № 4. 1—1

## სასკოლო გადასახადი

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა დეკრეტი სასკოლო გადასახადის შესახებ. ეს დეკრეტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დღეს და საჭიროა მასზე შეჩერება.

საბჭოთა წყობილების დამყარებიდან მატერიალურ-კულტურის ფრონტზე აუარებელი ენერგია იქნა გაღებული და ამ სფეროში, არსებული პირობების მიხედვით, მაქსიმალური შედეგები მივიღეთ.

ფართო მასა უკვე დარწმუნდა, თუ რამდენად დაბალი სიცრუის ნიმუშები იყო და არის მემარჯვენე პარტიების მიერ შექმნილი განგაში საქართველოს განადგურების შესახებ.

ამ მხრით მათი ფილისტერული ლაყბობა ყოველ საზღვარს აღემატებოდა და ალბად მათ მიერ მიწოდებული უტყუარი ინფორმაციის მიხედვით სწერდა ერთ-ერთი გაზეთი სტამბოლში, რომ ბოლშევიკებმა ბორჯომი დააქციესო, როდესაც წყალდიდობამ ზარალი მიაყენა ბორჯომს.

ეხლა საჭირო არ არის ამ ანგარიშებზე ლაპარაკი. ამის შესახებ მიუდგომელი მკვლევარი იტყვის თავის სიტყვას; აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ სულიერი კულტურის სფეროს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და სწავლა-აღზრდის საქმე სასხვათაშორისო საქმის ხასიათს ატარებდა. დღეს, როგორც ვხედავთ სასკოლო გადასახადი არის დამტკიცებული, რითაც სპეციალური შემოსავლის წყარო უჩნდება სახალხო განათლების კომისარიატს. ეს გარემოება მას საშუალებას მისცემს მუშაობის გაჩაღებისათვის. ამ მხრით ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში სასკოლო შენობები დიდსა და კაპიტალურ რემონტს მოითხოვს, არა ერთი და ორი კორესპონდენცია მიგვიღია პროვინციებიდან, რომელნიც ხაზგასმით აღნიშნავენ სკოლის უმწეო მდგომარეობას. არც ფანჯრები, არც გათბობა, არც სასკოლო აუცილებელი ინვენტარი და ნახალა არ მოიპოვება სოფლის სკოლებში და მოწაფენი და მასწავლებელნი სიცივისაგან კანკალებს სასწავლო საათების განმავლობაში.

ზედმეტია იმაზედ ლაპარაკი, რომ ასეთ პირობებში ვერავითარ საგრძნობ ნაყოფს ვერ გამოიღებს სწავლა-აღზრდა და პირიქით, მას შეუძლია აპატიისა და ზიზღის გამოწვევა სკოლისადმი, რადგან იგი ავადმყოფობის ბუდეთ გახდება და ყოველგვარ ხალისს დაუკარგავს, როგორც მოსწავლეებს, ისე მშობლებს სკოლისადმი.

აგრეთვე აღნიშნულ უნდა იქნეს მასწავლებელთა და ღარიბ მოწაფეთა უზრუნველყოფის საკითხი. დღემდე მასწავლებელნი ვერ იღებდენ თავის დროზედ იმ მინიმალურ გასამრჯელოს, რომელიც მარტო პურის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა: მით უფრო შეუძლებელი იყო ღარიბ მოწაფეთა უზრუნველყოფაზე ფიქირი. საამისოდ არავითარი ობიექტიური პირობები არ არსებობდა. დღეს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმი უნდა იქნეს გაღებული ღარიბ მოწაფეთა დახმარებისათვის. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ დღეს მრავლად მოიპოვება ისეთი ნიჭიერი მოწაფენი, რომელნიც შორდებიან სკოლას ქონებრივი სიდუხჭირის გამო. ასეთი ფაქტი წინეთ ლოღიკური იყო, რადგან საზოგადოების ღარიბ ფენების განათლებისათვის არავინ ფიქრობდა და მას ხელის შემშლელ პირობებსაც უქმნიდენ ხელოვნურად, მაგრამ დღეს ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. არსებულ ეკონომიურ პირობებში არ კმარა ღარიბ-მოწაფეთა განთავისუფლება სასწავლო ფულისაგან. ეს ვერ მოგვცემს ჩვენ საკმაო შედეგს და ღარიბ ხალხს ვერ გაუხსნის გზას სკოლისაკენ.

ჩვენი ღარიბი გლეხი და მუშა თავის შვილს, ჯერ კიდევ ბავშურ ასაკში ჩააბამს ხოლმე მუშაობაში და, ალბად, მკითხველს არა ერთხელ უნახავს მინდვრად პატარა, დაიჩიავებული ბავში, რომელიც კავს მისდევს ვაი ვაგლახით, ან საქონელს უდგია მინდვრად, ან დასუსტებული ხელოსანი სახელოსნოში მომწიფებული ადამიანის ნიშნებით, მაგრამ ბავშური ტანითა და სისუსტით. ცხადია, რომ ასეთი მოვლენები და მუშათა წრეების ფიზიკურ დეგრადაციას ქმნის ბავშთა მუშაობის პროცესში ჩაბმა.

ამ მხრით ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ საუკუნოებით გამტკიცებული და ჩვეულებად ქცეული მოვლენა უკუგდებულ იქნეს. ამისთვის საჭიროა, როგორც უფასო აღზრდა და დახმარება ღარიბ მოწაფეთა, ისე დიდი აგიტაცია—პროპაგანდა მშრომელ მასაში, რომ მან შეიგნოს თავის მოქმედების დამღუპველი შედეგები.

რასაკვირველია ერთი ხელის დაკვრით ვერ შევსძლებთ ამ მხრივ რადიკალურ ცვლილებების მოხდენას, მაგრამ ღარიბ მოწაფეთა უზრუნველყოფის დაწყება დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ განათლების კომისარიატმა სასკოლო გადასახადისაგან შემოსული თანხის ნაწილი უნდა გადადოს ამ მიზნისთვის.

რაც შეეხება მასწავლებელთა მდგომარეობას და სასკოლო ნივთების შეძენას ამის შესახებ ლაპარაკიც კი მეტია, აღსანიშნავია მხოლოდ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამომცემლობის საკითხი.

ჩვენი სკოლა, როგორც უმაღლესი, ისე დაბალი დამშეულია სახელმძღვანელოებით და საერთო განათლების მნიშვნელობის წიგნებით. ამ მხრივაც მუშაობაა საჭირო.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელებისათვის დიდ დახმარებას გაგვიწევს სასკოლო გადასახადი დეკრეტში არის სათანადო მუხლები, რომელნიც უღარიბეს ნაწილს საზოგადოებისას ანთავისუფლების გადასახადისაგან. დეტალურად დეკრეტის გარჩევა არც არის საჭირო, რადგან ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ხსენებული დეკრეტი და და შესაძლებელია მისი გაცნობა.

ყოველი შეგნებული მოქალაქის მოვალეობაა სასკოლო გადასახადის ჩატარების ხელის შეწყობა. არც ერთი გადასახადი არ ყოფილა ესოდენად საჭირო და აუცილებელი, როგორც არის ხსენებული გადასახადი. არ უნდა დავივიწყოთ რომ აქ არის საკითხი ჩვენი მომავლის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ადამიანური არსებობისა და უწმინდესი მოვალეობაა საგადასახადო კომპანიის ჩატარება, მისი ხელის შეწყობა.

ნუ დავივიწყებთ ჩვენს ნახევრად დანგრეულ სკოლებს და შიგ სიცივისაგან გაყინულ ჩვენი ქვეყნის პატარა შვილებს და მათ აღმზრდელ მასწავლებლებს.

## პრესა

უკანასკნელ დროს ტფილისის ბაზარზე მომხდარ კრიზისის ერთ-ერთი მიზეზიც სხვათა შორის ის იყო, რომ განზრახული საერთო ფულის ნიშნის შემოღებამ ამიერ-კავკასიაში, მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ხელოვნურათ დასცა ქართული ბონის კურსი. ახლა კი, როდესაც კრიზისი განვლილი არის და ქართული ბონის კურსი შედარებით მტკიცეა, შესაძლებელი ხდება ყველასათვის თვალსაჩინო გახდეს ის გაუგებრობა, რომელიც ამ მხრივ ხელოვნურათ იყო გამოწვეული. ამიერ-კავკასიის ერთ პოლიტიკურ კავშირში გაერთიანება საჭიროდ ხდის მთლიანი ფულის ნიშნის შემოღებასაც, რომელიც დამყარებული იქნება მტკიცე და ყველაზე მეტ მსყიდველობითი ძალის მქონე ფულის ნიშანზე. გაზ. „ზარია ვასტოკა“ ეხება, ამ საკითხს და სამართლიანათ აღნიშნავს:

„ცხადია, რომ უნდა იქნეს შემოღებული მთლიანი ფულის ნიშანიც, რის გარეშეც წარმოუდგენელია რაიმე ანგარიში, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მიზანშეწონილი ხელმძღვანელობა. ეს ჭეშმარიტება საკმაოდ გადაღეჭილია ჩვენი პრესის ფურცლებზე.

ახალი ნიშანი გამოცემულ იქნება ყველაზე უფრო მტკიცე და ყველაზე მეტ მსყიდველობითი უნარის მქონე ფულის ნიშნის კურსით.

ასეთი კი იყო და არის ქართული ბონი. ქართული ფულის მქონე სცვლის ამ ქართულ ბონებს ახალ ფულის ნიშანზე მანეთზე მანეთს და, მაშასადამე არაფერს ამით არ დაკარგავენ.

აზერბეიჯანის და სომხეთის ბონები გადაცვლილი იქნება ახალ ფულის ნიშანზე იმ კურსით, რომელიც ექნება ქართულ ბონებს.

ამ რეფორმის ჩქარა და იოლათ გატარებისათვის „სწორედ საჭირო იყო ქართული ბონის სიმტკიცე.

ამიტო იყო რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ამიერ-კავკასიის გაერთიანების მტერნი მთელი თავისი ძალებით ცდილობდენ ქართული ბონის გაიაფებას; ამით ისინი იმედოვნებდენ ფულის რეფორმის შეჩერებას, ამ მთავარ ნერვს ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ მეურნეობისას.

მათი გეგმები ჩაიშალენ.

ბაზრის და მოსახლეობის ნდობა ქართული მანეთისადმი აღდგენილია, და მაშასადამე უზრუნველყოფილია მტკიცე კურსი მთლიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიღებული გაკვეთილების შემდეგ მომავალშიაც მყიდველნიც და გამყიდველნიც უფრო სიფრთხილით მოუსმენდნენ ბოროტ სისინს და მეტი ნდობით მოეკიდებიან მთავრობის საფინანსო ღონისძიებათ“.

## ნარკვევი

### პოლონეთის ფაშიზმი.

თანდათან ირკვევა საერთაშორისო ფაშიზმის ხასიათი და მისი წარმომშობი მოვლენები.

მოსკოვის „პრავდა“ ისევ არკვევს პოლონური ფაშიზმის წარმოშობის მიზეზებსა და იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ჟამათაა შექმნილი პოლონეთში. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით, რადგან საყურადღებოა პოლონეთის სოციალისტური პარტიის დასახასიათებლათაც:

პოლონეთის ბურჟუაზიული პარტიები უკანასკნელ თვეების განმავლობაში გაძლიერებით ამზადებდნენ ფაშიზმის აშკარათ გამოსვლას პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ავანსცენაზე. ისინი აქებდნენ იტალიელი ფაშისტების „პატრიოტობის“ და მოუწოდებდნენ პოლონეთის საშინაო და საგარეო მტრის წინააღმდეგ ძალების ორგანიზაციისკენ. თუმცა პოლონური ფაშიზმის ორგანიზაცია დიდათ არის დაკავშირებული საერთაშორისო ფაშისტურ გამოსვლებთან, მაგრამ მას აქვს საკუთარი ისტორიაც და ყავს წინამორბედნიც.

პოლონური შლიახტის და ბურჟუაზიის პოლიტიკური მოქმედება განსაკუთრებულ პირობებში შეიქმნა. მათი ტაქტიკა და დამოკიდებულება გლეხებისა და მუშებისადმი არასოდეს არ იყო ლიბერალური; ის ატარებდა უსირცხვილო ფორმას, რომელიც დღეს მოგვაგონებს იტალიელი ფაშისტების მეთოდს. ამიტომ რაც ახლა პოლონეთში ხდება, თავისი ფესვები აქვს უკანასკნელი ათეული წლების პოლონეთის რეაქციაში.

1906 წელს რომან დმოვსკიმ, პოლონელი სახალხო დემოკრატების ბელადმა განაცხადა, რომ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი (ე. ი. სახალხო დემოკრატები) არ დაერიდებიან მოძმეთა სისხლის დაღვრას. ამის შემდეგ პოლონეთში დაიწყო ბრძოლები: სახალხო დემოკრატებმა შექმნეს მებრძოლი რაზმები და ხოცდნენ ს.-დ. პარტიულ აგიტატორებს და შეგნებულ მუშებს: „თავს ესხმოდნენ კრებებს. ლოძში საქმე შეტაკებამდეც მივიდა. ამ ბრძოლებში დაიღუპა 110 მუშა. მაშინდელი პოლონელი ფაშისტები, რომლებიც შლიხტებისა და ბურჟუაზიის მიერ იყვნენ შეკავშირებული, სასულიერო წოდებისა და მეფის ძალა-უფლების დახმარებით მოქმედებდნენ. მსგავსივე მოძრაობა იყო გალიციაშიც, თუმცა სხვა ფორმებში.

პოლონური ფაშიზმის განვითარებაში მეტად დიდი როლი ითამაშა პოლონელ სოციალ-გამცემლების პარტიამ,—პ. სოციალისტურმა პარტიამ. მან არა მარტო იდეოლოგიით შეაკავშირა ფაშიზმი, არამედ ფიზიკურათაც შექმნა ის.

რუსეთის 1905—1906 წლის რევოლიუციის შემდეგ პ. ს. პ. თანდათან სცილდებოდა სოციალისტურ ფრაზეოლოგიას და გადავიდა იმპერიალიზმის ბანაკში; მას იმედი ქონდა საერთო ომის შედეგათ „სახალხო პოლონეთი“-ს შექმნისა, ამიტომ 1913 წელს ბაზელის კონგრესზე პ. ს. პ. წინააღმდეგი იყო ანტი საომარ მანიფესტებისა.

რამოდენიმე წლის წინათ ომამდი პ. ს. პ. გალიციაში შექმნა მსროლელი რაზმები ავსტრიის მთავრობის დახმარებით; მათვე გამოსცეს სამხედრო სწავლის წიგნები და პარტიზანული ბრძოლის სახელმძღვანელები. ამ მუშაობის სულის ჩამდგმელი პილსუდსკი იყო; მიზანი კი—მეფის რუსეთთან ომი იყო. მაგრამ ისინი არა ნაკლებ ერთგულათ იბრძოდნენ პოლონელ ესდეკ-ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც წამოაყენეს სოციალური რევოლიუციის ლოზუნგი. მწვავე ხასიათი მიიღო ამ ბრძოლამ მაშინ, როდესაც პ. ს. პ. დაიწყო სარგებლობა ოკუპაციურ გერმანულ და ავსტრიულ პოლიცის მზრუნველობით.

რუსეთის და გერმანიის რევოლიუციამ გაანთავისუფლა პოლონეთი „უცხო“ მთავრობებისაგან და უფრო თავისუფალი გახადა პოლონურ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლა. და აი „განთავისუფლებულ“ პოლონეთში 1919—20 წლებში გრძელდება რბევა ებრაელების, მუშების და კომუნისტების.

გერმანელების წასვლისთანავე არბევენ რედაქციებს და კლუბებს კომუნისტებისას; ბოლოს კი კომუნისტურ პარტიას იატაკს ქვეშ უხდება მუშაობა. შემდეგი ისტორია,—ეს შავი რეაქცია: ციხეები, დახვრეტა, ტერორი.

ამასთან ერთად სწარმოებს იდეოლოგიურ-ორგანიზაციული მუშაობა. 1920 წელს კათოლიკური ხუცები აარსებენ „ანტიბოლშევიკურ ლიგას“ და საქმე საერთო პოლონურ კონგრესამდე მიყავთ.

ამის შემდეგ სდგება ვარშავაში „საზოგადოებრივი თვითდახმარება“, უმთავრესად სტუდენტობისა და ინტელიგენტურ ახალგაზრდობისაგან, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს შავრაზმელები, უმთავრესად ქსენძები პოლონურ სეიმში პოგრომულ აგიტაციას აწყობდენ.

საბჭოთა—პოლონური ომის შემდეგ რეაქცია ძლიერდება. მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები ვისლის აღმოსავლეთით დარბეულია, ასეულები დახვრეტილი. მთელ ამ ტერიტორიაზე მეფობს ტყვია და ტერორი.

ამავე ომის ხანაში ხდება სასწაულის მზგავსი მოვლენა სოციალისტური მოძრაობისთვის. პოლონური სოციალისტური პარტიის წევრები მასიურად ეწერებიან პოლონურ „დეფენზივში“ („ოხრანკა“)... ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიულ რეაქციამ, პ. ს. პ. დახმარებით, შესძლო დაემარცხებინა კომუნისტები უკანასკნელ არჩევნებში. მთელი საარჩევნო კამპანიის დროს მოქმედებდენ მებრძოლი რაზმის წევრები შლიდენ მიტინგებს, არბევდენ ბიუროებს და სხ.

საარჩევნო კამპანიის ხანაშივე სწარმოებდა აშკარა კამპანია ფაშიზმის სასარგებლოდ. ვარშავაში, ოქტომბერში შესდგა ფაშისტური საინსტრუქტორო კურსები 60 კაცისათვის; დასრულების შემდეგ ისინი განაწილებულ უნდა იქნენ მთელ პოლონეთში. აღმოსავლეთ გალიციაში შეიქმნა საზოგადოება დემობილიზაცია ქმნილ ოფიცრებიდან, პოლონეთის მემამულეთა მიწის მფლობელობის დასაცავად. პოზნანის პროვინციაში ქალ. მოგილნოში შესდგა „საზოგადოებრივი წესიერების საზოგადოების“ საორგანიზაციო ყრილობა. სხვა მიზნებთან ერთად ამ საზოგადოების მიზანია შეიარაღებული ძალებით ებრძოლოს სასოფლო-სამეურნეო გაფიცვებსა და მიტინგებს. ორგანიზაცია იყოფა ოლქებად და რაიონებათ. უმცირესი ჯგუფი—30 კაცია; ყოველი ჯგუფის სათავეში ოფიცერი სდგას. საზოგადოება იღებს წევრად 16 წლის ასაკიდან. საზოგადოების ორგანიზატორებმა—მემამულეებმა გადასწყვიტეს გადაიხადონ 15000 მარკა თვეში; ამ წესით იმედი აქვთ მთელ პოზნანში 7 მილიარდის შეკრებისა.

პოლონეთის „მემარცხენე პრესაში“ კიდევ უფრო საყურადღებო დოკუმენტი გამოქვეყნდა. ის შეიცავს საიდუმლო რეგლამენტს პოლონური ფაშისტური ორგანიზაციისას: „პოლონეთის ორგანიზაცია ქვეყნის თავდაცვისა“.

ფაშისტური ორგანიზაციების განვითარება პოლონეთში უნდა გახდეს ნიშნად იმისა, რომ რევოლიუციონურმა პარტიებმა და პროფკავშირებმა ცენტრალურ ევროპაში შექმნან თავდაცვის ორგანიზაციები.

## ლოზანას კონფერენცია

**მოსკოვი.** 25 დეკ. სრუტეების კომისიის 20 დეკემბრის სხდომაზე ისმედფაშა მოითხოვდა გალიპოლისში ოსმალეთის მინიმალურ გარნიზონის დატოვებას. პროტესტი განაცხადა მოკავშირეთა სამხედრო გემების მორიგეობის დაწესების და განიარაღებულ ზონებზე კანტროლის უფლების საერთაშორისო კომისიისათვის მინიჭების წინააღმდეგ.

ისეთ-ფაშა მოითხოვდა ოსმალეთისათვის პოლიტიკურ გარანტიებს.

კერზონმა უარყო ოსმალეთის მოთხოვნილებანი გალიპოლისში ოსმალეთის

გარნიზონის დატოვების შესახებ კერზონმა გემების მორიგეობის და პოლიტიკურ გარანტიების საკითხში პასუხის გაცემას გვერდი აუხვია.

ვინაიდან კერზონს არ სურდა არა სასიამოვნო კამათის გაგრძელება, მან უეცრად შესწყვიტა სხდომა.

ოსმალეთის დელეგაცია, რომელსაც სხდომის დასასრულს უნდა წაეკითხა დეკლარაცია, იძულებული იყო წერილობით გადაეცა იგი კერზონისათვის. წაკითხვის შემდეგ, კერზონმა დეკლარაცია არ გამოაქვეყნა და უკან დაუბრუნა ოსმალეთის დელეგაციას.

სხდომის ბოლო ნაწილი გადაიქცა ნამდვილ კომედიად. არც ერთი საკითხი არ იქნა გადაწყვეტილი. მოკავშირეები ცდილობდნენ მათ შორის გამოშკარავებული უთანხმოება დაეფარათ ოსმალეთისადმი ქათინაურებით. რუსეთის დელეგაცია კამათში მონაწილეობას არ იღებდა.

— ლოზანიდან ბრიტანეთის რადიო ოფიციალურად იუწყება, რომ ოსმალოებმა თანხმობა განაცხადეს მოკავშირეთა ყველა წინადადებების მიღებაზე. ჯერ-ჯერობით არ არის გადაწყვეტილი სრუტეების კომისიის კომპეტენციის და ოსმალეთისათვის შეპირებულ გარანტიების ფორმის საკითხი. კერზონმა განაცხადა რომ შეუძლებელია დაუშვათ ოსმალეთის გარნიზონის დატოვება გალიპოლისში და აღნიშნა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისვლა მიმოსვლისათვის გემების მორიგეობის დატოვების აუცილებლობა.

**პრესა ლოზანის კონფერენციის შესახებ**

**მოსკოვი.** „მანჩესტერ გარდიენი“ ლოზანის შეთანხმების შესახებ სწერს: არავითარი შეთანხმება არ იქნება ხანგრძლივი თუ რუსეთი ჩასთვლის მას მიმართულათ თავის ინტერესების წინააღმდეგ. ინგლის-რუსეთის დამოუკიდებულების საკითხი ინგლის ოსმალეთის ურთიერთობის საკითხზე უფრო მნიშვნელოვანად მიაჩნიათ და ისინი გამოსთქვამენ შიშს ამ დამოკიდებულების მომავლის შესახებ.

„ტანი“ სასტიკად გმობს ლოზანის კონფერენციაზე კერზონის პოზიციას რუსეთის მიმართ. „ეს პოზიცია სწერს გაზეთი, აკისრებს კერზონს დიდ პასუხისმგებლობას. ინგლისის პოზიცია შეურაცხყოფს რუსეთის თავმოყვარეობას და ამტკიცებს მათ ეროვნულ მისწრაფებებს“.

**კაპიტულიაციის კომისიაში**

**მოსკოვი.** 25 დეკ. კაპიტულიაციის და ეკონომიურ-ფინანსიურ ქვე-კომისიებში ჯერ-ჯერობით არ არის მიღწეული არავითარი შედეგი.

**ეროვნულ უმცირესობათა საკითხი**

**მოსკოვი** 25 დეკემბერი. ლოზანიდან იუწყებიან, რომ სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ ოსმალებმა უარყვეს მოკავშირეთა წინადადება ქრისტიანულ უმცირესობათა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ. მოკავშირეებმა მოითხოვეს ამ საკითხის ერთა ლიგაში გადაცემა, მაგრამ ამ წინადადებაში ოსმალოებმა ოსმალეთის სუვერენიტეტის შელახვა დაინახეს და უარყვეს იგი.

ბულგარეთის და სომხეთის დელეგაციებმა მოითხოვეს მათი აზრის მოსმენა ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ. ამის წინააღმდეგ ოსმალოებმა პროტესტი განაცხადეს პროტესტის საპასუხოდ მოკავშირეებმა განაცხადეს რომ ბულგარეთის და სომხეთის წარმომადგენელთა აზრის ამ საკითხში მოსმენილ იქნება იმ შემთხვევაშიც კი თუ ოსმალებმა არ მოისურვეს სხდომაზე დარჩენა.

**ჩიჩერინის განცხადება**

**მოსკოვი** 25 დეკემბერი. „დეილი ნიუზის“ ცნობით, ჩიჩერინმა ამ გაზეთის კორესპონდენტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი რუსეთის მიმართ მოკავშირეთა აშკარა აგრესიულ დამოკიდებულების გამო, არ მოაწერს ხელს საზავო ხელშეკრულებას.

**კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობა**

**მოსკოვი** 25 დეკემბერი. კონფერენციის მუშაობა ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს. კაპიტულიმციის ქვე—კომისიის ექვს სხდომაზე არ არის მიღწეული არავითარი შეთანხმება. ეს საკითხი გადაეცა მთავარ კომისიას. ეროვნულ უმცირესობათა ქვე-კომისიაში ოსმალეთის და საბერძნეთის დელეგატების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ სასტიკ გალაშქრებამ თავმჯდომარე აიძულა სხდომა დახურულად გამოეცხადებია.

**განაგრძობენ თუ არა ოსმალები მოლაპარაკებას**

**პარიზი.** 25 დეკემბერი, სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ გასან ბეი გაემგზავრა ლოზანადან აეგორაში ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობისათვის მოხსენების გასაკეთებლად ლოზანას კონფერენციაზე წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ და იმ საკითხის გადასაწყვეტად, განაგრძცბს თუ არა ოსმალეთის დელეგაცია კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას.

**ქრისტიანების სასაფლაოების დაცვა ოსმალეთში**

**ლიფილლი** 25 დეკემბერი. უმცირესობათა კომისიის გუშინდელ სხდომაზე ოსმალეთის დელეგატებმა მიიღეს მოკავშირეების წინადადება ოსმალეთში ქრისტიანების სასაფლაოების დაცვის შესახებ.

# უცხოეთი

**გერმანიის ემისია.**

**ლონდონი.** 25 დეკ. გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის გამო, გერმანიის სახელმწიფო ბანკი იტყობინება რომ გასულ ფინანსიურ წლის 11 თვის განმავლობაში ქაღალდის მარკების ემისია 854 მილიონით გაიზარდა.

**დაპატიმრებანი.**

**რომი.** 25 დეკ. ტრიესტში დაპატიმრებული არიან გაზ. „ლავორატარი კომუნისტის“ რედაქტორები.

**ლიტვის ცნობა.**

**ბორდო.** 25 დეკ. ელჩთა კონფერენციამ აცნობა ლიტვის მთავრობას, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ ლიტვა დე-იურედ იცვნესო.

**რკინის გზის ტარიფების ახალი გადიდება.**

**ჰანნოვერი.** 25 დეკ. გერმანიის მთავრობამ დაადგინა 1 იანვრიდან რკინის გზის ტარიფები გადიდებულ იქმნეს 25 პროცენტით.

**გერმანია-ისპანიის შეთანხმება.**

**ჰანნოვერი.** 25 დეკ. სავაჭრო-სამრეწველო წრეებში ლაპარაკობენ, რომ სავაჭრო მოლაპარაკება ბერლინსა და მადრიდს შორის ამ დღეებში სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დამთავრდება.

## საბჭოთა მეათე ყრილობა

**ყრილობის გახსნა.**

**მოსკოვი.** 25 დეკემბერი. 23 დეკემბერს დიდი თეატრის დარბაზში დიდი ზეიმით გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეათე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 2.000 დელეგატზე მეტი.

**ამხ. კალინინის სიტყვა.**

სრ. რუსეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა გახსნა ყრილობა შემდეგი სიტყვებით: „ამას წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ საბჭოთა ხელისუფლების 5 წლის არსებობა, დღეს ჩვენ ვესწრებით საბჭოთა მეათე ყრილობას, საბჭოთა ყრილობის ისტორია არის რევოლიუციონური რუსეთის ისტორია პირველი ყრილობები მეხუთემდე ერთმანეთს მისდევდენ, მაგრამ ეს ყრილობები ერთმანეთს არ გვანდენ—თვითეული ყრილობა გამოხატავდა განსაკუთრებულ მომენტს.

ამ ხნის განმავლობაში მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა დაამთავრეს გედის სიმღერა.

მეხუთე ყრილობაზე ესერები საბოლოვოთ გაგვეთიშენ და შეურთდენ კონტრრევოლიუციას. ამ მომენტიდან მუშების და გლეხების სათავეში მოექცა განუყოფელი კომუნისტური პარტია. მეექვსე და მეშვიდე ყრილობებმა მთელი თავისი მუშაობა მოანდომეს სამხედრო საქმეს, ფრონტის ცხოვრებას და ინტერესებს. იმ ყრილობებს, რომელნიც უდიდეს საშიშროების მომენტებში იკრიბებოდენ, ესწრებოდენ ფრონტიდან გამოგზავნილი დელეგატები, რომელნიც მატებდენ ჩვენ რიგებს ენტუზიაზმს და რევოლიუციონურ ენერგიას აქ ხდებოდა ამ ენერგიის კონცენტრაცია და წითელი არმიის წინამძღოლი, საბჭოთა ყრილობა ახმარდა ამ ენერგიას ფრონტის ყველაზე საშიშ ადგილებს. მერვე და მეცხრე ყრილობები შეუდგენ უფრო მშვიდობიან მუშაობას. საბჭოთა რესპუბლიკა სამშვიდობოზე გავიდა.

მეათე ყრილობამ უნდა განიხილოს მთელი რიგი ახალ ამოცანებისა, რომელთა შორის არის კარდინალური საკითხი—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მოწყობა. ასეთი კავშირის მომენტი სავსებით მომწიფდა.

ამ დარბაზში პირველად არიან შორეულ აღმოსავლეთის ქ. ვლადივოსტოკის წარმომადგენლები. ჯერ კიდევ არ გამქრალა ოკუპანტების კვალი ვლადივოსტოკის ქუჩებზე, და მისი წარმომადგენლები უკვე გამოცხადნენ საბჭოთა მეათე ყრილობაზე ამ დარბაზში არიან აგრეთვე უკრაინის ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების 400-ზე მეტი დელეგატები, რომელნიც ჩამოვიდნენ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ ყრილობაზე. ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება სუსტია, ძალიან სცდება. აქ ამ დელეგატების დასწრება მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები მჭიდრო და მძლავრი ძაფებით დაუკავშირდენ ერთმანეთს.

**ყრილობის თავმჯდომარის არჩევა**

ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. კალინინი.

**ყრილობის პრეზიდიუმი**

დამტკიცებულ იქნა კომუნისტურ ფრაქციის და უპარტიო დელეგატების მიერ დასახელებული პრეზიდიუმი 37 კაცის შემადგენლობით.

**მისალმებანი**

შორეულ აღმოსავლეთის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს იანსონი „ბრძოლის გამოცდილებამ დაანახვა მუშებს და გლეხებს, რომ ისინი ვერ განთავისუფლდებიან მტრების თავდასხმისაგან მანამ სანამ არ დაუკავშირდებიან საბჭოთა რუსეთს. ეხლა ბურჟუაზიული მთავრობა ჩვენში [illegible] შესცვალა საბჭოთა ხელისუფლებამ შორეულ აღმოსავლეთის მუშები და გლეხები მზად არიან მთელი საბჭოთა რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ხელიხელ ჩაკიდებული განაგრძონ ბრძოლა და მიაღწიონ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და გაძლიერებას.

# ახალი ამბები

— **დეკრეტი ქალაქებში მიწათ-მოწყობის შესახებ.** ქალაქის აღმასკომის მიერ, კომუნალურ კოლეგიის დადგენილების თანახმად, დამტკიცდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დებულება ქალაქებში მიწათ-მოწყობის შესახებ და გადაეგზავნა მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატს დეკრეტის გამოსაცემათ.

— **ბრძოლა ვენერიული ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსებულ იქნა კომისია შემადგენლობით: ორი ექიმი, ერთი-ქალთა განყოფილების წარმომადგენელი, ერთი სამმართველოს განყ. წარმომადგენელი და ერთიც—ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიის წარმომადგენელი. კომისიას დაევალა სასწრაფო წესით გამოიმუშავოს გეგმა ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა და წარუდგინოს განსახილველათ აღმასკომის პრეზიდიუმს.

**ვაჭრობის ნებართვა.** ვაჭრობის ნებართვის მისაღებათ სანიტარულ მხრივ წინასწარ შემოწმებულ უნდა იქნან სურსათ-სანოვაგის სავაჭროები; დანარჩენი დაწესებულებები, როგორიც არის: სადალაქოები, საპარიკმახეროები, სასტუმროები, ძველი ტანისამოსით მოვაჭრეები და ბაკები-ჩიხებიან შეუმოწმებლათ.

— **ჩოხატაურის საავადმყოფოს** შენობის ასაგებად ტფ. ქალაქის აღმასკომმა გადასდო დახმარების სახით 25 მილიონი მანეთი.

— **გადასახადის გადიდება ელექტრონის ენერგიაზე.** მიმდინარე წლის პირველ დეკემბრიდან, ელექტრონის ენერგიაზე გადასახადი გადიდებულია 35 ათას მანეთამდე კილოუატზე.

— **ფარულათ დაკლულ საქონლის აღმოჩენისათვის**, იმ პირთ, რომელნიც აღმოაჩენენ ქალაქის ფარგლებში ფარულათ დაკლულ საქონლებს, უნდა შეადგინონ მილიციის თანდასწრებით სათანადო ოქმი. საქონელი იქნება პატრონზე ჩამორთმეული კონფისკაციის სახით, გაიყიდება მიკროსკოპიულ სადგურზე გასინჯვის შემდეგ და გაყიდულ საქონლის საფასურის 50 პროც. მიეცემა აღმომჩენს.

# საბავშვო ბაღები და მათში მუშაობა

(გაგრძელება*)

იმის შემდეგ, რაც მკითხველი გაეცნო საბავშვო ბაღში მომუშავეთა საჯარო მუშაობას, გადავიდეთ ახლა მათ შინაურ მუშაობაზე.

დღიდან საბავშვო ბაღების გახსნისა უამრავი ბავშები იყრის თავს და რომელსაც ვერ მიიღებენ უადგილობისა გამო, მისი მშობელი გულნატკენი ბრუნდება.

ბევრჯერ ვფიქრობდი: როცა მშობელი თავის ნორჩ პირმშოს სხვას უგდებს ხელში აღსაზრდელად, რა მოსაზრებით? რას აქცევს ის ყურადღებას? ამ კითხვაზე პასუხი გაუცია ეკონომიურ გაჭირვებას. მახსოვს, ერთმა მშობელმა უსაყვედურა ბაღის გამგეს „ეს ბაღი ხომ ღარიბებისაა, აქვე აჭმევთ, რატომ ჩემს ბავშს არ იღებო?“.

მაგრამ ეს საყვედური და თხოვნაც შეწყნარებულ არ იქმნა უადგილობისა გამო.

ეხლა მთელი ოჯახი მუშაობს და თუ ჩვილი ბავში მოიპოვება, საბავშო ბაღში მიჰყავს. მაგრამ ეცნობა თუ არა ბაღში დაყენებულ აღზრდას, მოსწონს, შეეგუება მშობლიურ აღმზრდელობას საბავშო ბაღის გეგმა და მუშაობა?

ერთ დროს ამის პასუხს იძლეოდა მშობლების კრება, რომელზედაც გამგის მიერ ირჩეოდა ბავშის დღიური, დაკვირვება და შედეგი. გარდა ამისა, თავის შვილის აღზრდაში დაინტერესებული მშობელი, ესწრებოდა საჯარო ლექციას ამა თუ იმ აღზრდითი საკითხის შესახებ. (თუმცა ამისთანა მშობლები მეტად მცირე იყო).

წრეულს კი მშობელი უფრო დაინტერესებულა აღზრდით და არა მითი, რას აჭმევენ. ბევრს გამგეს უთქვამს ჩემთვის, პესიმისტი მშობელი როგორ აღტაცებით შეგებებია ბავშის გამოცვლას, ოჯახში მოქცევას და საბავშო ბაღის სიყვარულს.

ამის შემდეგ შევეხოთ საბავშო ბაღის შინაგან მოწყობილებას და მათში მუშაობას. უნდა ავღნიშნო რომ ზოგიერთ ბაღებს „სტუმრიანობა“ ეჯავრებათ. არ იციან, რომ ნეტა ისე შეითვისოს ჩვენი საზოგადოება ამ აუცილებლობას, რომ თვეში ერთხელ მაინც ეწვიოს ბავშის ფუტკარივით მუშაობას, ან კიდევ ბაღებში მომუშავეთ ხალისი მისცენ, რომ მათ მუშაობას გულის ყურით ეკიდებიან.

ამიტომაც, ვიმეორებ, ზოგიერთი ბაღები ამ თვალყურს გაურბიან, ეჩოთირებათ მიმსვლელი და ისიც უკმაყოფილო ბრუნდება.

პირიქით, ზოგიერთი ბაღები კი მოხარულნი არიან გარეშე პირებისა (ოღონდაც ისეთების, რომელთაც ეინტერესებათ მაინც. თუ საქმე არ იციან), რომელნიც შენიშვნას გაუკეთებს, ვინაიდან უცხო თვალი უფრო ატყობს რაიმე ნაკლს ვიდრე შეჩვეული.

აი, ამიტომაც მე არ შემიძლიან ყველა ბაღებს შევეხო, ვიტყვი იმათზე, რომელშიაც ხშირად დავდივარ და ინტერესით და გულისყურით ვაკვირდები მუშაობას.

საბავშო ბაღში შესვლის უმალ თვალწინ დაგვხდებათ კოპწიაობა და დიდი სისუფთავე (თუმცა ზოგიერთ ბაღებში აუტანელი მტვერი და უსუფთაობაა, რაც მეტად ავნებს ბავშვის ორგანიზმს), ნახავთ ბავშების სასადილოს, სათამაშო ოთახს და ბოლოს სამუშაოს. ამ ოთახს ამშვენებს პატარა მაგიდები, თავისი სკამებით, კედელს სხვა და სხვა ნახატები ბავშის ცხოვრებიდან მხატვრის მიერ შესრულებული და ზოაგან ბავშის საინტერესო ნახატები. პატარა თაროებზე კი თიხისაგან გაკეთებული საგნები. საყურადღებოა ეს საგნები. გამოყვანილია პური, ლავაში, ხაჭაპური, ვაშლი ვაზებზე, მაგიდა სამოვრის ჭურჭლით და იშვიათად შეხვდებით შინაურ ცხოველებს და ფრინველებს, როგორც ბავშის წარმოდგენას შეეფერება.

იქვე მაგიდაზე აწყვია მონტესორის დიდაქტიური მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი დაუდევრობაა, როგორც ქალაქის განათ. განყოფილების ისე ამ საქმის სათავეში მდგომთა, რომ აქამდის არც ერთს საბავშო ბაღს არა აქვს სრული კომპლექტი დიდაქტიურ მასალისა მეტადრე უანბანობა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ყოველ ბავშის ნახატს ეტყობა დაუშრეტელი წყურვილი ასოების გაცნობისა და წერისა. ის ხშირად სწერს და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ ახალი ასო შეისწავლა.

უმთავრესად მოიპოვება ბაღებში გოდლები, რომლითაც მოცულობას ეცნობიან; ძელები ანგარიშისათვის; გეომეტრიული ფორმები (ეს სულ ახლად დაურიგეს მხოლოდ წრეულს) და სხვა და სხვა თესლეულობის დაბეჭდილი ყუთები ხმების გასარჩევად; ჩარჩოები ნაჭერ გადაჭიმული ღილებით, დუგმებით, აგრეთვე არის კუბიკები და ასაშენებელი მასალა.

აი, ეს მთავარი მასალა, რომელზედაც დღეს ტრიალებს საბავშო ბაღების მუშაობა. ბავშები მუშაობის შემდეგნაირად იწყებენ! თვალწინ აქვთ გადაშლილი ყველაფერი (თიხის გარდა, ის სულ ბოლოს ეძლევათ) და ვისაც რა უნდა იმას მუშაობს.

თუმცა ერთ კერაში მასწავლებელი კარგა ხანი ეკითხებოდა: ვის უნდა ხატვა აქ დადექი, ვის უნდა ჭრა იქ დადექი და სხვა. ასეთი კითხვები ზედმეტია და მასწავლებელიც უნდა გაურბოდეს.

ზოგი გოდლებზე მუშაობს, ზოგი ძელებზე, ზოგი აშენებს სახლებს და უმეტესი ნაწილი კი ხატავს, რადგანაც ეს მეტად უყვართ ბავშებს და ახალისებს, მეტადრე ფერადი ფანქრები, ზოგი კი ბავშურ მოთხოვნილებით თამაშობს მხოლოდ სათამაშო ოთახში, როგორ მუშაობენ გოდლებზე?

სამი სერიაა გოდლებისა, პირველი: ერთნაირი სიმაღლისა, სხვა და სხვა სიგანისა,—განიერიდან, ვიწრომდე: მეორე —ერთნაირი სიგანისა, სხვა და სხვა სიმაღლისა; მესამე კი—სხვილიდან და მაღლიდან დაწყებული სულ პატარათი თავდება.

ბავში ამ გოდლებს ბუდიდან გამოფანტავს და აურევს, შემდეგ თითეულ გოდოლს თავის ბუდეს მოუნახავს. მეტად მრავალნაირ კომბინაციას ახდენს მუშაობის დროს ბავში. საინტერესოა ერთი მაგალითი: ჯერ იატაკზე გაამწკრივა ცოტა არევით, მაგრამ სიმაღლე მაინც დაიცვა, შემდეგ ბუდე დაიდო წინ და ერთს გოდოლს თავიდან იღებდა, მეორეს ბოლოდან და ასევე ალაგებდა ბუდეში.

ერთს გოდოლს ბუდე ვერ უპოვა, შესცდა. ისევ დაშალა, აურია და თავიდან დაიწყო იმუშავა იქამდის, სინამ მიზანს არ მიაღწია. ეს ბავში იყო სამი წლისა.

გოდლებზე მუშაობის შედეგია: ბავშმა გაარჩიოს (მასწავლებლის დახმარებით) მაღალი და დაბალი, სხვილი და ვიწრო.

საანგარიშო ძელებს და დახურულ ყუთებს არ შევეხები, რადგანაც ახლად აქვთ მიცემული მარტო წლეულს და არ იციან ჯერ მათი გამოყენება.

საინტერესოა ხატვა.

შარშან ბაღებში არ იყო გეომეტრიული ფორმები (ადრე იყო) და ხატვა თავისუფალი იყო. მართლაც ყველა ბაღებში და მეტადრე ზოგიერთ ბაღებში თავისუფალი ხატვა უმაღლესს წერტილამდის ადიოდა. (რაც ბავშის ფანტაზიას შეეფერება). ხატავდნენ მოცეკვავე ბავშებს—ხელებ გაჭიმულს, ზოგს მეტად ლამაზი გამომეტყველება ჰქონდა, ხეებს, სახლებს (ბავში თვითონ იძახის რასაც ხატავს) მერე, რაც აგარაკად გაჰყავთ, თითქმის ყველა ბავში, უფრო კი ბიჭები ხატავდნენ საბარგო ავტომობილებს ბავშებით, მასწავლებლებით და ბარგით. წრეულს კი ამგვარს აღარაფერს ვხედავ. მათ თავისუფალი ხატვა აღარ ემარჯვებათ ფორმების წყალობით. თუმცა ვერ ვიტყვი ორ საბავშო ბაღზე, სადაც სრულებით არ დაუჩრდილავს თავისუფალი შემოქმედება გეომეტრიულ ფორმებს. და საინტერესო ნახატებიც არის—ერთი: ომი, ჯარი, ცხენები; მეორე კი „მიწის ძვრა“ (ბავშის ახსნით) სახლია და ხეხილები, მიწაზე ვაშლები. „მიწის ძვრამ ხეხილიდან ვაშლი სულ ჩამოჰყარა“ იძახის პატარა.

ბავშებს წინ უდევთ გეომეტრიული ფორმები და ფანქრით მისი მოხაზულობა გამოჰყავთ ქაღალდზე. ამ ფორმებმა, ვიძახი, მათ დაუკარგეს ფანტაზია, თავისუფალი შემოქმედება. თუ არა ამით, მაშ რით აიხსნება ის, რომ ერთ საბავშო ბაღის კედელს ამშვენებს ორი სურათი: დიდი ცხენი, ზედ ზის ბიჭი, იქვე მდგომი გოგონა იცრემლება, ის არ შესვეს; მეორე სურათი: შობის ხეა მორთული, გარშემო ბავშები.

ყველა ბავშმა იცის უქმის მოახლოვება და არც ერთს არ შეუხედავს არც ამ სურათისათვის და არც თუ თვითონ დაუხატავს. შარშან კი მე მომსწრე ვიყავი: ერთი ბავში გატაცებული იყო პეპელათი, რომელიც კედელზე ეკიდა. მისჯდომოდა და მის გადმოღებას სცდილობდა ქაღალდზე, და თუ რასმე მიამსგავსებდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თუმცა კიდევ დაუმატებ, ერთმა გამგემ მითხრა: „დიდი ძიება აქვს ფორმისა ზოგიერთ ბავშს. ამ ფორმით რაიმე კომბინაციის გაკეთება უნდათ. ერთ ბავშს ცხრანაირად აქვს გადაწერილი დიდი ტრაპეცია და შიგ რგოლი, მაგრამ მიზანს ჯერ ვერ მიაღწიაო“. მაგრამ მე მაინც ასეთ ფრთების შეკვეცას გეომეტრიულ ფორმებს ვაბრალებ და მისი გავლენა ეტყობა განსაკუთრებით ზოგიერთა ბაღს.

თუმცა ერთმა საბავშო კერის ბავშმა ეს ფიგურა თავის ფანტაზიისათვის გამოიყენა. პატარა ტრაპეცია მან საყვავილე ქოთანს მიამსგავსა, როცა ქაღალდზე მოხაზა, მას ჩამოუსვა ზევიდან რამდენიმ ხაზი, გააფერადა ყვითელ ფანქრით და სთქვა „ეს არის ყვავილი ქოთანშიო“. სამუშაო ოთახიდან გადიან სავარჯიშო მუსიკის ხმაზედ დიდ ოთახში. ვარჯიშობა თავისუფალია, რაც ბავშს შეეფერება, თუმცა ზოგიერთ საბავშო ბაღში მეტად გადააჭარბეს და ტურნირიც კი გამართეს ბავშების გასატრიალებლად.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. გაზ. „ტრიბუნა“ № 378.

მომჩენელს და 50 პროც. კი შეტანილი იქნება ალმასკომის სალაროში.

— **მოხსენება უნივერსიტეტში.** სამშაბათს, დეკემბრის 26 სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში სტუდენტთა „ისტორიულ ლიტერატურული“ წრე გამართავს მორიგ მოხსენებას: მომხსენებელია ამხ. გიორგი თავზაშვილი. თემა: **„გიორგი საააძის პრობლემა“.** დასაწყისი სალ. 7 საათზე. დასწრება შეუძლია ყველას.

— **ტობანიერის თემი.** გარდაიცვალა ადგილობრივ მთლიანი შრომის შკოლის მასწავლებელი **გერასიმე ტაბიძე.**

— **ქუთაისის მეორე ტეხნიკუმის დრამატიული წრე.** 9 დეკემბერს, 1922 წ. ხსენებულმა წრემ, ტეხნიკუმის დარბაზში გამართა მიპატიჟებითი საღამო. საღამო ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 24 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ლექსი „სონეტი“ ხელმოუწერელად. ლექსი ეკუთვნის საფო მგელაძეს.

## ხელი შეუწყვეთ გაზეთის გავრცელებას!

**გაზეთს შეაქვს ყველგან შეგნება და სინათლე. გაზეთი ყველაზედ უფრო იაფი და სწრაფი საშუალებაა ცოდნისა და შეგნების გასავრცელებლად.**

**გაზეთი ებრძვის უმეცრებას, ცრუმორწმუნოებას, ხალხის სიბნელეს.**

**გაზეთს მოაქვს ამბავი დედამიწის ყველა კუთხიდან.**

**ვინც გაზეთს არ კითხულობს, ის, ჩამორჩენილია, არაფერი იცის რა ხდება ჩვენში, ან სხვაგან და ჭორებით იკვებება.**

**გაზეთს უნდა კითხულობდეს ყველა, ვინც კითხვა იცის.**

**გაზეთს უნდა აწვდიდეს სწორ ცნობებს ჩვენი ცხოვრებიდან, ვისაც ეს შეუძლია.**

**გაზეთი ,,ტრიბუნა‘‘ ემსახურება ქართველ მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს, იცავს მათ ინტერესებს, იბრძვის მათ საკეთილდღეოდ, შეაქვს მათში სწორი და სალი შეგნება.**

**მაშ გამოიწერეთ გაზეთი ,,ტრიბუნა‘‘ და ხელი შეუწყვეთ მის გავრცელებას.**

## ქართული შრიფტი

კულტურული შემოქმედების სწრაფი განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლიუციონური ცვალებადობა, საერთოდ და კერძოდ საქართველოში, ერთ აუცილებელ პირობათ მოითხოვს წიგნის ბეჭდვის გამრავლებას და წერის ტეხნიკის გაუმჯობესებას.

ჩვენში ქართული შრიფტის ისტორიას არ მოეპოება დიდი მასალა შესასწავლად და უნდა ითქვას, რომ ჩვენს მხედრულს შრიფტს იმდენი ცვალებადობა, თანდათანობითი გზით, და გაკულტუროსნება არ განუცდია, როგორც მაგალითად ევროპის ზოგიერთ ნაციონალურ შრიფტს. მიუხედავად იმისა, რომ მე-5-თე საუკუნეში (ქ. შ.) ქართული ანბანი უკვე საკმაოდ განვითარებულის სახით გვხვდება, დღევანდელი შრიფტი, თავისი გამარტივებით და გასალაშინებით, ძალიან შორს არა სდგას იაკობ ხუცესის დროის ხელნაწერი ქართული ასოებისაგან, თუმც მასში თვალსაჩინო ცვლილებას მაინც ვამჩნევთ.

სტამბა და ბეჭდური შრიფტი კაცობრიობამ ი. გუტენბერგის წყალობით მხოლოდ მე-15 საუკუნეში მოიპოვა (1455 წ.). პირველი ქართული შრიფტი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი) ჩვენმა დესპანმა ევროპაში, ურბან მე-8 დროს, 1627 წელს, ჩამოასხმევინა ქ. რომში. ეს ასოები შეიძლება ჩაითვალოს აკადემიური ასოების პირველ ფორმათ, იმ განსხვავებით, რომ პირველს ცოტაოდენი წინწკლები აქვს. მაგრამ საქართველოში სტამბა (პირველი) 1707 წელს დაარსა ვახტანგ მეფემ, რომელსაც ანთიმოს მღვდელ-მონაზონმა გამოუგზავნა ქ. ბუქარესტში 1694 წელს ჩამოსხმული ქგრთული ასოები. (ზ. ჭიჭინაძე) ხოლო მაზე უფრო ცოტა ადრე (1703) არჩილ მეფემ, რუსეთში ყოფნის დროს, მოსკოვში ჩამოასხმევინა ქართული ასოები (ხუცური და მხედრული) რომელიც ძალიან გაამრავლეს 1735 წელს და დაარსეს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ქართული სტამბები (მაგ. მოსკოვში, პეტროგრადში, მოზდოკში და კრემენჩუგში.).

დღევანდელი ასოები,—ის გავრცელებული შრიფტი, რომლითაც გამოდის დღეს უმრავლესობა ქართული წერილობითი შრომებისა, ჩამოსხმულია ტფილისში 1770 წელს და მას აქეთ ამ შრიფტს დიდი შესწორება არ განუცდია. თუმც მე-19 საუკუნეში მრავლჯერ იყო ცდა, როგორც აქ საქართველოში, ისე საზღვარ გარეთ პარიზში, ქართული ახალი შრიფტის შედგენისა.

ამ დროს საზოგადო მოღვაწეებს სურდათ ერთის მხრივ ქართული ასოების გაევროპიელება და ფორმით ლათინურ შრიფტთან დაახლოვება და მეორეს მხრივ ისეთი რეფორმა მოეხდინათ ამ დარგში, რომელიც საგრძნობ ეკონომიას გამოიწვევდა, როგორც ქაღალდისას ისე შრომის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დაიწყო რენესანსი ქართული მწერლობისა და ამავე გარემოებამ გაუღვიძა მრავალ ქართველს სურვილი ახალი მწერლობა და შემოქმედება ახალი შრიფტით დაეწყო.

პირველი რეფორმა ამ დარგში კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, მაგრამ ამის ასოები უფრო ბერძნულს მიაგვანდა თავის გარეგანი ფორმით. მრავალ ასოს, გამარტივების მიზნით ჩამოაკლდა ზოგიერთი ნაწილები, რომლებიც ლორთქიფანიძის აზრით, ზედმეტი იყვნენ— და ასოების წერას აძნელებდენ. ამ შრიფტით პირველად, 1881 წელს, „ვეფხის ტყაოსანი“ გამოიცა ქუთაისში, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს შრიფტი ისე პოპულიარული შეიქნა, რომ პერიოდული გამოცემებიც კი იბეჭდებოდა მით.

მეორე რეფორმატორი ამ მხრივ იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ისე იყო გატაცებული ლათინური შრიფტით, რომ ქართული ასოები წმინდა ლათინურ ასოების ფორმაში ჩამოაყალიბა, დაიცვა სრული სიმეტრია ლათინურისა ქართულში. ეს შრიფტები ძალიან ძნელი იყო საკითხავად (ზოგიერთი ასო სრულიად დაემსგავსა ლათინურს). და ხმარებაში არ იქნა შემოღებული, დაიბეჭდა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში.

ჩვენს ხელში არის ამ ჟამად დაწვრილებითი ცნობები ქართული შრიფტის და სტამბის განვითარების ისტორიისა, მხოლოდ ამ წერილში საჭიროდ არ ვსცნობთ მის დეტალურ გადაშლას.

შრიფტის ისტორიის შესწავლა უტყუარი საბუთია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი ბრძოლა და სურვილი იყო ჩვენს თანამემამულეთა შორის მისი გალამაზებისა და გაუმჯობესებისა.

როგორც ვიცით დღესაც მუშაობს ერთი სპეციალური კომისია ქართული შრიფტის რეფორმისათვის. ამ კომისიას ჯერ არ უცნობებია ქართველი საზოგადოებისათვის თავისი პროექტი შრიფტის შესაცვლელად და ამდენადვე ძნელია მისი დაფასება. მხოლოდ წარსულ ორშაბათს განათლების მუშაკთა სახლში, ქართული ენის სექციის კრებაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება ქართული შრიფტის რეფორმის შესახებ: ბ. ბ. თ. კიკვაძის და დ. შევარდნაძის მიერ, რომელთაც დღემდე ბევრი საკითხი გადაუჭრიათ შრიფტის რეფორმის ირგვლივ და მისულან ისეთ დასკვნამდე, რომ საჭიროა კარდინალური გარდაქმნა ქართული შრიფტისა და აღნიშნულ კრებაზე კიდეც წარმოადგინეს ახალი პროექტის მიხედვით, ახალი შრიფტის ფორმა.

ამ შრიფტის სახის განხილვა გვარწმუნებს, რომ აღნიშნულ კომისიას კარგათ შეუსწავლია ქართული შრიფტის ორგინალური თვისება მისი სიმეტრია და პეტიტის ფორმა.

თუ წარმოდგენილ პროექტს ჩვენ განვიხილავთ ეკონომიური თვალსაზრისით, უნდა მიუდგომლად ითქვას, რომ მრავალ სასურველ გარემოებასთან გვაქვს საქმე, როგორც მაგალითად ქაღალდის დიდი ეკონომიის, ისე მუშა ხელის ენერგიის დაზოგვისა და სასტამბო პირობების საგრძნობლად გამოკეთების მხრივ.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვინდა ეს ახალი შრიფტი, მოკლედ განვიხილოთ წმინდა პედაგოგიურის თვალსაზრისით და მოვიყვანოთ ზოგიერთი მისი ნიმუში.

**გ. თავზარაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

## სახელმწ. უნივერსიტეტის ცხოვრებიდან

**(აგრონომიული ფაკულტეტი.)**

საერთოდ უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური მუშაობა არ განისაზღვრება ლექციების მოსმენით. არსებობს მეორე მხარე, რომელსაც სტუდენტთა განვითარებისათვის და თავის სპეციალობაში გაღრმავებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ეს არის თვით სტუდენტთა მიერ მეცნიერულ ხასიათის საკითხთა განხილვა-გაშუქება. მნიშვნელოვანია ეს ფაქტი მით, რომ სტუდენტებს უცხოველდება სურვილი მეტი აქტიობისა და თვით-მოქმედებისა.

სავალალოდ ასეთ ხასიათის მუშაობის წარმოების მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი ვერ გვაძლევს დამაკმაყოფილებელ სურათს.

რასაკვირველია უმთავრესი მიზეზი ამ ნაკლოვანებისა ჩვენს სიღარიბეში მარხია, რაც ფრთებს უკვეცავს ახლად დაწყებულ საქმის წარმატებას და სპობს ყოველივე შესაძლებლობას რაიმე დიდ ღირებულების შექმნისათვის.

მიუხედავად ამისა მაინც სწარმოებს ამ მხრივ მუშაობა. თითქმის ყველა ფაკულტეტებზე, რომელთა შორის საპატიო ადგილი უკავია აგრონომიულ ფაკულტეტებს.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, რომლებიც წინ ელობებოდა ხსენებულ ფაკულტეტის სტუდენტობას მათ მაქსიმალურად შეასრულეს თავის ვალი და შესძლეს აღეძრათ ინტერესი მათდამი როგორც სტუდენტების ისე დაინტერესებულ საზოგადოების.

კვირას, 16 დეკემბერს, მოხდა აგრონომიულ ფაკულტეტთან არნებულ მუზეუმის გახსნა, რასაც მრავალი სტუდენტობა და გარეშე საზოგადოებაც დაესწრო. სტუმართა შორის იყვენ: უნივერსიტეტის რექტორი, მიწადმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი და სხვა. კრება გახსნა სამეცნიერო წრის თავმჯდომარემ გ. აბესაძემ, რომელმაც მოკლეთ და შინაარსიანად გააცნო დამსწრე საზოგადოებას წრის მიზანი და მისი მუშაობის მთავარი მომენტები.

აგრეთვე მიუთითა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა მუშაობის უფრო ფართო მაშტაბით წარმოებისათვის.

შემდეგ თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა იმ გულუხვი დახმარებისათვის, მიწად-მოქმედების კომისარიატს და სტუდენტთა საბჭოს.

სამეცნიერო წრის მაცადინობის და მუზეუმს ირგვლივ წარმოებულ მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ნ. კეცხოველი. მან ხაზგასმით აღნიშნა ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ხსენებულ წრეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აყვავებისათვის; ვინაიდან საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, რომლის გაჯანსაღება მტკიცე საფუძველია ერის განვითარების და ძლიერების. აგრეთვე ჩამოთვალა მუზეუმში წარმოდგენილი ყველა დარგები, რის შემდეგ საზოგადოება გაეშურა მუზეუმის დასათვარიელებლად.

მეტად კარგ სურათს წარმოადგენდა მუზეუმი. მთელი ოთახი სავსე იყო სტუდენტთა მიერ შეგროვილ მასალებით. აქ შემდეგი დარგები იყო წარმოდგენილი: მემინდვრეობა, მეხილეობა, მებაღეობა, მეღვინეობა, მევენახეობა მინერალური კოლექციები და სხვა. თითეულ დარგთან იყო სამეცნიერო წრის წევრი, რომელიც სათანადო განმარტებას აძლევდა დაინტერესებულ პირთ. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა მემინდვრეობის მდიდარი კოლექცია. აქ წარმოდგენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნიმუშები.

აგრეთვე მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. სხვა დარგებიც კარგად იყო მოწყობილი, რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ამ გამოფენამ ნათელყო, თურამდენად ძლიერი ყოფილა სიყვარული და ერთგულება, რომლითაც ისინი ესწრაფოდენ მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ მუზეუმს სულ 2 წლის ისტორია აქვს, მან შესძლო ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი მდიდარი მასალის შეგროვება, რომელიც გაუადვილებს სტუდენტ-აგრონომებს თავის სპეციალურ საგნების შესწავლას. სტუდენტებში არსებული სიყვარული ამ დარგისადმი და მათი მუშაობის ნაყოფი—მუზეუმი, სიცხადით გვიმტკიცებს და გვეუბნება, რომ მომავალი ჩვენი მეურნეობისა მტკიცე ნიადაგზე იქნება დაყენებული თუ რასაკვირველია სათანადო ორგანოებიდან რეალური დახმარება იქნება აღმოჩენილი.

ხსნა ჩვენი ქვეყნის—მეურნეობის აყვავებაშია.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო იარაღები პრიმიტიულია; თითქმის არავითარი წინსვლა და გაუმჯობესება არ განუცდია მას. გლეხობა ჩვენში 15—20 საუკუნის უკან ხმარებულ იარაღებით სარგებლობს; ამიტომ ნაყოფიერება ძლიერ უმნიშვნელოა.

ტეხნიკის ხმას ვერ მოუღწევია ჩვენამდის.

მაგრამ ეს დაბრკოლებანი ძლეული იქნებიან მომავალში ჩვენი მეურნე-აგრონომების მიერ, რომელნიც ერთი შეგნებით და მიზნით გასწევენ წინ სამშობლოს მეურნეობის აყვავების მიზნით.

ვ. ჭ—ი.

## მხატვართა მეორე სეანსი ხელოვანთა სასახლეში დეკემბრის 19-ს

სიამოვნებით ვაცხადებ, რომ მეორე სეანსი ქართ. მხატვართა საზოგადოებისა, რომლის მოსაწყობათ განსაკუთრებული პირობები იყო საჭირო მაინც მოულოდნელად დამაკმაყოფილებელი იყო.

ეს გარემოება ძალიან დიდ იმედს იძლევა და ვფიქრობთ, რომ შემდეგში სამხატვრო სეანსები დიდ შემაკავშირებელ და შემოქმედების გამაცხოველებელ გავლენას იქონიებენ ქართულ ხელოვნებაზე. მხატვრობა ხელოვნების ისეთი დარგია, რომელსაც აუცილებლად სჭირია ყველა სხვა დარგებთა ახლო კავშირი. არა კმარა ხატვის საღამოზე მისვლა მარტო ისეთ მოქალაქეთ, რომელნიც რჩებიან მარტო მაყურებლად და მსმენელად, როგორც სამხატვრო გამოფენაზე, ლექციებზე, მოხსენებებზე და სხვა, როდესაც მოქალაქე ხედავს და ისმენს სხვა დროს და სხვა ადგილს შექმნილ ნაწარმოებს. სამხატვრო საღამოების ღირსება იმაშია, რომ შემოქმედება იქვე საღამოზედ ხდება და მაყურებელი უფრო ადვილად და ღრმად განიცდის ნახატის, ხატვის პროცესის და თვით მხატვრას შთაბეჭდილებას: ეს გარემოება აღვიძებს ყველა დამსწრეთა პიროვნებაში უჩინარ მხატვარს, რომელიც ხშირად მოულოდნელად პირველ ადგილს იჭერს შემდეგ. აქ მეტი წილი დამსწრეთა ერთსა და იმავე დროს არის შთაბეჭდილების შემქმნელიც, მიმღებიც.

ვინ არიან მხატვართათვის საჭირო მეგობრები და მათ შემოქმედების ხატვის დროს დამხმარენი მუსიკა, პლასტიკური მოძრაობა, რითმი, ლამაზი სახეები, ტანსაცმელები (რომელნიც ძალიან ძნელი საშოვარნი არიან) ლამაზი ტანი და მის ვარჯიშობა, პოეზია, კრიტაკა, ფილოსოფია, არტისტები. ყველა ზე აღნიშნულ დარგების წარმომადგენელნი უნდა იყვნენ ჩვენთან, რომ ერთმანეთზე ვიმოქმედოთ ერთმანერთს ვეზიაროთ ერთმანერთი სულიერად გავამდიდროთ, დავაფასოთ.

„ჩვენვე გვეყუდნოს თავნი ჩვენი“ ჩვენვე უნდა ვიყნეთ მუგუზლები ჩვენი ეროვნული შემოქმედების უკვდავ ცეცხლისა. ამისათვის ვთხოვ ყველა ქართული ხელოვნების მეგობრებს შეგვიწყონ ხელი, თუ უნდათ რომ. ჩვენგან მიიღონ მაქსიმუმი ჩვენი შემოქმედების შესაძლებლობისა. მოვიდნენ ჩვენ საღამოზე და თან მოიტანონ ყოველი, ის რაც აქვთ ლამაზი, ტიპიური, საუცხოვო. გადაგვიშალონ წინ, აღგვიძრან გულს იმედი და ჩვენც ვეცდებით ავხატოთ ყველა ნიჭიერად მოვლინებულნი, როგორც კავკასიონის ქედი თვის ბროლის მკერდ ქვეშ დაუშრეტელი მომავალ კულტურულ საქართველოს ასაყვავებელ სიმდიდრით, ისე ქართველი ერი.

ქართველი ოჯახი მდიდარია თვის სევდის ღრუბლით დაჩრდილულ ესტეტიურ და გმირულ განძეულებით ნურავინ ფიქრობს ვაი თუ ჩემგან ბევრს მოელიან და ცოტა ჩვენებად არ ღირდესო. გადავდოთ კერძო თავმოყვარეობა **,,ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ფქვას‘‘.**

საერთო გვქონდეს დიდი და სახელოვანი ყველაფერი.

მადლობას უძღვნი შემდეგ პატივცემულ პირთ, რომელნიც მეორე სამშაბათის სამხატვრო სეანს დაესწრენ და ახალგაზრდა მხატვართა წახალისებაში მონაწილეობა მიიღეს:

კომპოზიტორ არაყიშვილს, დ. გურამიშვილს, ტასო ქიქოძეს, ქართველიშვილ, თამარა ნიკოლაძეს და სხვ. შევარდნებს, როიალზე დამკვრელს ქ-ნს №, მომღერალს კანდელაკს, პატარიძეს და თოფაძის საუცხოვო და გმირულ თვისი ლექსების წარმოთქმისათვის, შურა თოიძეს, რომელიც უცბად ლამაზი ტანით, ტანსაცმელით და ცეკვით მოგვევლინა სახატავად. ბილანიშვილს (მხატვარს) უაღრესად საინტერესო ქინიან, ესტეტიურ-დემონიურ ცეკვისათვის ყველა ახალგაზრდა მხატვრებს: ახვლედიანს, კოტეტიშვილს, გამრეკელს, ირ. თოიძეს, ალექ. არაყიშვილს (კომპოზიტორის შვილს) კარიკატურისტ შევარდნაძეს, გძელიშვილს, კახიძეს, ზურაკაშვილს, ლეჟავას, გვანცალაძეს და სხვათ, რომელთაც ძირითადი მნიშვნელობა სამხატვრო [illegible] გამართვაში შეიტანეს.

იმედია, რომ ქართველ. ხელოვნების და კერძოდ მხატვრობის მეგობრები— კოლექციონერები და კრიტიკოს-მეცნიერნი: ბარათაშვილი, ურუშაძე, შალ. ალ. მესხიშვილი, გრ. რცხილაძე, გრ. რობაქიძე, გერ. ქიქოძე, პრ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ამირანიშვილი და სხვა რომელნიც იზიარებდნენ დღემდის ჩვენ ბედს დღეის შემდეგაც არ მოგვაკლებენ ყურადღებას.

მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე **მოსე თოიძე.**

## საქ. წამლეულთა წარმოების შესახებ

საზოგადოთ ცნობილია, რომ რუსეთი ტეხნიკური წარმოების მხრივ, ევროპის ყველა სახელმწიფოებზე ჩამორჩენილი იყო.. მაგრამ, რაც იყო მის ქონასახსაც ვინ გაიმეტებდა ისეთ „ინოროდცებით“ დასახლებულ განაკიდისთვის, როგორიც საქართველოა.. წამლეულობის მრეწველობა კი არა, უბრალო ნედლი მასალის შეგროვებაც მთელს რუსეთში არ იყო დაყენებული სახელმწიფოს მიერ და თუ რამე კეთდებოდა გერმანელები და ინგლისელები აგროვებდენ, გაქონდათ საზღვარ-გარეთ და ჩვენ გვიბრუნდებოდა ბაფრიკატის სახით, რომელიც ერთი ასად უნდა მოეყიდნათ ჩვენთვის. მოგეხსენებათ, რომ რუსეთი ნედლი მასალით ფრიად ძლიერი ქვეყანაა. მაგრამ წამლეულის ნედლი მასალა საქართველოს ოდენი არც ერთ ყოფილ რუსეთის ნაწილს არ ქონია. ამ მასალის მომგროვებელი, გადამუშავებელი ან რაციონალურ ექსპორტის მომწყობი არავინ აღმოჩნდა. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მთელი რიგი წერილებისა, როგორც ომამდის ისე ომის პროცესშიაც. ამ დროს, დიდი მოთხოვნილება წარმოიშვა მედიკამენტებისა, ვინაიდან საერთაშორისო ტრანსპორტიც მოიშალა და მოპირდაპირე სახელმწიფონი ერთმანეთს აღარაფერს აწვდიდენ. დადგა საკითხი ამ დარგის შინამრეწველობის განვითარებისა და ჩვენს პრესაშიაც შეეხენ პრობლემატიურად ამ დარგის დიდს მომავალს. ვამბობ, ეს სურვილები პრობლემატიური იყო ვინაიდან ძნელად თუ ვისმე დაესიზმრებოდა მშრომელთა ხელისუფლება და სახელმზიფოს ინიციატივა ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

მაშინდელი რჩევა განმარტებანი დარჩნენ ხმად მღაღადებლისა, ვინაიდან კერძო კაპიტალი ასეთ საქმეს ხელს არ მოკიდებდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ომის შემდეგ კაპიტალი არა მწარმოებელი არამედ ჩარჩული შეიქმნა და სპეკულიასტური მიზნით, პირველ მოთხოვნილების საგნებს დაუტრიალდა ადვილი და სწრაფი მოგებით გატაცებული.

დღეს, როცა საქართველოსა და რუსეთის მომხმარებელი დიდათ საჭიროებს მედიკამენტებს და კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ერთგვარ იზოლიაციაში ვიმყოფებით მოგვიხდება ჩვენივე ხელებით ჩაუყაროთ საძირკველი ყოველგვარ საკუთარ წარმოებას. მე ვფიქრობ ფრიად დროულია საქ. მშრომელთა ხელისუფლებამ და ფარმაცევტთა პროფკავშირმა გაასკეცებული ენერგიით იზრუნოს ამ სიმპატიურ და ხელსაყრელ საქმეზე.. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ წამლების წარმოებას ზედმიწევნით ტეხნიკური მოწყობილებით ვერ შევქმნით, მაგრამ ის პრიმიტიული ლაბორატორიებიც, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია დიდს როლს შეასრულებენ, რამდენიმე პრეპარატის აქვე დამზადებაში. აგრედვე ნედლი მასალის უხვად დაგროვება და ფაბრიკატ-მედიკამენტებზე გადაცვლა რამოდენიმე მილიარდების ეკონომიას შესძენს ჩვენს ხელ მოკლე ხაზინას. თვით რუსეთის ბაზარიც ამ ნედლი მასალის სიმშილს განიცდის და პირველი მომთხოვნელი ამ საგნებისა რუსეთივე იქნება.

საგაზეთო წერილის ფარგლებში მე მინდა მკითხველს მივაწოდო ზოგიერთ საგანთა ნუსხა, რომელთაც ყოველ დღიური მოთხოვნილება აქვს და კარგათაც ფასდება ბაზარზე. რასაკვირველია ამ ნუსხით არ ამოიწურება საქართველოს წამლეულობის სიმრავლე, და თუ სახსარი გვექნება არც უფრო ნაკლებ მოთხოვნილების საგნებს დავაკლებთ შრომის და ზრუნვის ხელს. მაგრამ ჯერჯერობით დავიწყოთ ქვემო აღნუსხულის მოვლა პატრონობით:

1) კატაბალახა (Rad. Valerianae) რომლითაც სავსეა გორისა და რაჭის მაზრები და ამდენი მოთხოვნილება არც ერთ ბალახის ძირკვს არ აქვს. 3) გენაგერჩაგის, კუჭის საწმენდი ზეთის თესლი, ფრიად დიდ მოსავალს იძლევა ბორჩალოსა და ყარაიაზში. მის ზეთს ნავთის მაგივრათ ხმარობენ იქაური გლეხები. ჩვენ კი ოქროზე ვყიდულობთ იტალიელებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) ძალლ-ყურძენა—ფერა-ფერა Atro pa Belladonae ამის ექსტრაქტის და ნაყენების მიღება ჰქაც ხერხდება, 4) ძირტკბილა (Rad'Liqunstae), იმდენია გარე კახეთში, რომ მთელი ივრის ხეობასა და მთაზე ყოველ ბალახსა სჭარბობს. ინგლისელებს ომამდის ქონდათ ამის საწყობები სადგურ უჯარში, ხარისხით ჩვენი ქვნყნის, ივრისა და დილმის გაცილებით უკეთესია ადერბეიჯანისაზე. ადერბეიჯანში მოთხრილ და უბრალოდ გარეცხილ, გირვანქა ამის ძირებზე ინგლისელები აძლევდენ 2 კაპიკს. ლონდონში მიტანილ გარეცხილ და დაჭრილ ძირტკბილას ჩვენ გვიბრუნებდენ გირვანქა 48 კაპეიკათ. 5) ანისული (Semen Anis Vulgaris) ამის ზეთს დიდი მოთხოვნილების საგანია. ამ ბალახით მთლად სავსეა ივრის ხეობა, საგარეჯოს მინდვრები. 6) ჩადუნა, გვიბრაჰა (Rad Fijcisnuaris) ბევრია გორისა და ქუთაისის მაზრაში დიდი ფასი აქვს მისი ექტრაქტი ამ ჟამათაც არ იშოვნება აფთიაქებში. 7) ქალიშავა (Digitalis purpurea) მრავალია ჩვენს სანეხველოებზე ჩვენ კი საზღვარ-გარეთიდან ვიწერთ 8( ბარამბო (Barganioti) აუარებელია გარეთა და შიგნი კახეთში მისი ზეთი ყველა ზეთზე ძვირია ვარდის ზეთის გარდა. 9) ბადიანი, კაპრის პარკი Semen Anot Stelati. ჩვენში იმდენია რამდენიც ჯონჯოლი. მისი ზეთიც ძვირია.. 10) ლიმნის, ნარინჯის (მანდარინა) და ფორთოხლის კანებს, რომლის ზეთს ახლა ვერც კი ვშოულობს, ბათუმსა და გურიაში ღორიც არა სჭამს. 11) ბაძაშვა, მათრობელა (secali conuti) მრავალია აღმოსავლეთ საქართველოს პურის ყანებში. 12) კახური შავი პიტნა არ ჩამოუვარდება იაპონიის პიტნას ზეთით სიმდიდრეში, რომლის მიღება არც ისე რთულია და დიდ საჭიროებას წარმოადგენს მედიცინაში. 12) დაფნის ზეთი (ol Lauri) მისი წარმომშობი დაფნის თესლი იმდენია სამეგრელოში რომ ზოგს სიმინდიც არ მოდის იმდენი. ჩვენ კი მეორმოცე სპეკულიანტიდან ვყიდულობთ 14) ბორჯომის სკიპიტარიც არ არის ნაკლებ ხარისხოვანი...

მრავალია სხვა ბალახეულიც მაგრამ ეს სხვა დროს, საზოგადოთ საწარმოო კატალოგის გადიდება თანხაზეა დამოკიდებული საქართველოში მრავალი ხილია მისი კურკა აუარებელ ზელთს მოგვცემდა. აგრეთვე მინერალები, მარგანეცი, დუშეთის გოგირდი, მუხროვანის გლაუბერის მარილი, იქვე პოტასი (სოდა) მოცვი და გაზიანი წყლები, მარტო კობის ნარზანი უმდიდრესი წყალი ნახშირბადით, დიდ შემოსავლის პრესპექტივებს იძლევა. საზოგადოთ საფარმაციო დარგს. საქართველოში დიდი მომავალი აქვს. ჩვენი ბუნება მრავალ მხრივ მდიდარია და დიდს გასაქანს აძლევს ცოდნასა და ინიციატივას. ვიმეორებ მონარხიულ და დემოკრატიულ წესწყობილებაში კერძო კაპიტალს არგუნებდენ ზემოხსენებულ მრეწველობისა და ექსპორტის მოწყობას. მაგრამ ეს ისეთი საგნებია, რომელიც ყიდვისთანავე არ გაიყიდება, ფულის გაცდენაზე კი ჩარჩს ვერ გააბრიყვებ. სპეკულიანტური კაპიტალი ამ წარმოებას ხელს არ მოკიდებს ვინაიდან ხალხისა და სახელმწიფოს სარგებლობისათვის მას არ სცხელა. მშრომელთა ხელისუფლების ვალია ამაზე იზრუნოს, ეს მისი შინა მცნებიდან გამომდინარეობს. ანგარიშიანობის თვალსაზრისითაც არ არის საქმე წასაგები და სოციალისტური კულტურის სფეროშიაც დიდ წინსვლასა ნიშნავს. ამ კვირას შეკრებილ ფარმაცევტთა კონფერენციის ვალი იყო თავს იდვა ამის ინიციატივა. მან უნდა მისცეს მთავრობას ინტელექტუალი და ფიზიკური ძალა და მისგანაც მოითხოვოს საჭირო თანხა და მფარველობა.

**კაპიტონ ძველი.**

## ხელოვნება

### ხელოვანთა სასახლეში

კვირას, დეკემბრის 24-ს შესდგა სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის მორიგი ლიტერატურული სხდომა.

მოხსენება წაიკითხა პოლო იაშვილმა შემდეგ თემაზე: „რენე მარანის რომანი, ბატუალა“ რენე მარანი ნეგრი მწერალია შთამომავლობით. იგი საფრანგეთში ალიზარდა და სავსებით შეისისხლხორცა სული ფრანგული კულტურისა, ასე, რომ იგი ეხლა ფრანგ მწერალთა შორის ირიცხება. მისმა ახალმა რომანმა „ბატუალა“-მ მთელ დასავლეთ ევროპის ყურადღება მიიპყრო და საფრანგეთის „უკვდავთა აკადემიის“ პრემია დაიმსახურა.

მოხსენება იყო მოკლე შინაარსის გადმოცემა დასახელებულ რომანისა.

რომანი ეპიზოდიური აღწერაა ნეგრთა ცხოვრებისა და გამოაშკარავება მათი რასსიული განსხვავებისა ფრანგებისაგან. აქ მოცემულია ცხოველი სურათები, თუ როგორ არა-ადამიანურად სტანჯავენ და აწამებენ ამ ხალხს მათი ჰეგემონი ფრანგები. მთავარი გმირები რომანისა: ბატუალა, სიბიზინგი და იასეგინჯა. ისინი განსახიერებაა პრიმიტიულ ინსტინქტების: სექსუალობის, ეკზოტიკის, ხორციელობის. განსაკუთრებული ლიტერატურული სიმძლავრით არის მოცემული რომანში ეპიზოდები ნეგრთა ტრადიციებისა, (მაგალითად წინადაცვეთის ვაკხანალიური ღამე), რომელთაც მომხსენებელი კითხულობდა ზოგჯერ ქართულად და რუსულადაც, რადგან სავსებით გადმოთარგმნა ვერ მოესწრო. (თუმცა საკვირველია: რათ დასჭირდა ფრანგულის მცოდნე იაშვილს ეს რომანი რუსული თარგმანიდან ეთარგმნა?!)

მოხსენება მოკლებული იყო განსაკუთრებულ ინტერესს, რადგან მხოლოდ შინაარსის გადმოცემამ მეტად მშრალი ინფორმაციის სახე მიიღო. არ ყოფილა არც ანალიზი ცალკე ტიპებისა.

დასასრულ მომხსენებელმა დაასკვნა რომ თანამედროვე ევროპაში ცივილიზაცია კლავს კულტურას, მაგრამ მას ხსნა ელის აღმოსავლეთიდან და ამ მხრივ ჩვენს ქვეყანასაც დიდი მისსია აქვსო.

რადგან, მოხსენებამ კამათი არ გამოიწვია, მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სხდომის თავმჯდომარემ გრ. რობაქიძემ.

მისი სიტყვა იყო დამატება მოხსენებისა.

მან სხვათა შორის წამოაყენა ორი დებულება: ცივილიზაცია არ სპობს კულტურასო და მეორე: კულტურულათ უმწვერვალესათ მიღწეული ევროპა პრიმიტივისაკენ იხრება, მაგრამ საქართველოსთვის ჯერ ადრეა პრიმიტივზე ფიქრიც კი, რადგან მას არ გაუვლია კულტურის სტადიებიო.

რობაქიძის სიტყვით დაიხურა სალამო.

— **„მოძღვარი“ ეკრანაზე.** სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციამ დაასრულა ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ გადაღება; სურათი მოკლე ხანში იქნება ნაჩვენები ტფილისის კინოებში.

— **ახალი ქართული ოპერა.** კომპოზიტორმა ვ. დოლიძემ დაამთავრა ახალი ქართული რევოლიუციონური ოპერა „ცისანნა“; ოპერის სიუჟეტი აღებულია რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან. ოპერა მოკლე ხანში სახელმწიფო ოპერაში დაიდგმის.

— **ქართველი მწერლები ბერლინში.** მწერალთა კავშირმა ბერლინიდან მიიღო აკაკი პაპავას წერილი, რომელშიც იტყობინება, რომ იქ დაარსებულია საქართვ. მწერალთა კავშირის ფილიალი. ფილიალს განზრახული ქონია სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა და აგრეთვე წიგნების გამომცემლობის მოწყობა. მწერლების მიერ კვირაში ერთხელ იმართება სალიტერატურო და სამეცნიერო მოხსენებები ქართული კოლონიისათვის, რომელსაც ორასამდე წევრი ყოლია. მწერლები თხოულობენ ლიტერატურის სისტემატიურ მოწოდებას საქართველოდან.

— **სამხატვრო სალამო.** დღეს, დეკემბრის 25, ქართველ მხატვართა საზოგადოება ხელოვანთა სასახლეში მართავს მესამე მხატვრულ სეანს. როდენზე მომხსენებლად გამოდის იაკობ ნიკოლაძე.

— **საბავშო თეატრი.** ბერლინში გაიხსნა საბავშო თეატრი, რომელსაც დასახული აქვს ფართო მხატვრული მიზნები. ეს თეატრი პირველი საბავშო თეატრია დასავლეთ ევროპაში.

### უცხოეთი

— **მოსკოვის სამხატვრო თეატრი ამერიკაში.** ამერიკული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მომავალ გასტროლებს ამერიკაში. ნიუ-იორკში უკვე მზად არის მათთვის თეატრი 44 ქუჩაზე (ქალაქის ცენტრში) და გამოცხადებულია ბილეთების წინასწარი გაყიდვა. წარმოდგენები დაიწყება 8 იანვრიდან. პირველ კვირას მიდის „მეფე თეოდორ იანეს ძე“, მეორე —„ფსკერზე“, მესამეს—„ალუბლის ბაღი“ და მეოთხე—„სამი და“. ყოველ კვირას 8 სპექტაკლი დაიდგმის; 2 დილით და ექვსი სალამოთ. რუსულის არ არ მცოდნე პირთათვის დამზადებულია პიესის თარგმანი ინგლისურ ენაზე.

### დღეს თეატრებში

— **სახელმწიფო კონსერვატორიაში.** დღეს, დეკემბრის 26-ს პირველ სახელმწ. კონსერვატორიაში გაიმართება მეოთხელია მოწაფეთა სალამო.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სამშაბათს, 26 დეკემბერს, მორიგი „გუგენოტები“ მონაწ. ალეშკო, პოპოვა, სარაჯიშვილი, ინაშვილი„ საბინინი, ისეცკი და სხ.

## ჩვენი ფოსტა

**ბათომი. მესხეთელს:** თქვენი წერილი მხოლოდ დღეს მივიღეთ და უკვე ინტერესი აღარა აქვს. მოგვაწოდეთ ცნობები უფრო სისტემატიურად.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომეტეტი.


## საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარილით ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოდ, რომ იმ პირთ, ვინც გადააცილა ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადაიხადონ ქართული ბონებით ამ წლის ოცდა ათ დეკემბრამდე. ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა № 61 თარილით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასვლის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

სახალხო ბანკის **გამგეობა.**

209 1—1

## მოწოდება ტფილისის მცხოვრებლებისადმი

### ამხანაგებო და მოქალაქენო!

ტფილისის ქალაქის აღმასკომი შეუდგა მეტათ საპასუხისმგებლო საქმის გაკეთებას, ტფილისის ელექტროფიკაცია,—ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი და ისტორიული საქმეა. მუშაობა ამ საქმეზე უკვე დაწყებულია. ჰიდრო-ელექტრონის სადგურს უკვე ჩაეყარა საძირკველი ზემო-ავჭალაში და რამოდენიმე ასეული მუშა და სპეციალისტები აწარმოებენ მუშაობას. ტეხნიკური მასალები და საჭირო მანქანები გამოწერილია და მოდის საზღვარ-გარეთიდან.

ისტორიული საქმე, რომელიც წინეთ ფანტაზიათ იყო ცნობილი, ხორციელდება და ჩქარა ტფილისს ექნება იაფი ენერგია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ტფილისის უკეთ განათება, წყლის მოწოდების საქმის გაუმჯობესება, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება და ყოველგვარ კომუნალურ დახმარებათა რაციონალურ მოწყობა.

მაგრამ ამ დიდ საქმეს ესაჭიროება დიდი თანხა, არც მთავრობას. არც ქალაქის აღმასკომს არ აქვს საშუალება, რომ ეს დიდი საქმეს ხარჯები დაფაროს თავისი ჩვეულებრივი შემოსავლით.

საჭიროა თვით მცხოვრებლები დაეხმარონ მას ამ საქმის დაგვირგვინებაში. ამიტომ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ, 7 ამ დეკემბერს, დაადგინეს შემოღებულ იქმნას ტფილისში სპეციალური სამოქალაქო გადასახადი, რომელიც მოხმარდება მხოლოდ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აგების საქმეს.

გადასახადს იხდის ყველა შეძლების დაგვარად.

ამ საერთო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ყველას, როგორც მუშა-მოსამ. სახურეებს, ისე დანარჩენ მოქალაქეებსაც და შეძლებულ კლასს.

ქალაქის აღმასკომი მოუწოდებს მცხოვრებლებს შეასრულონ თავიანთი მოქალაქობრივი მოვალეობა, დაეხმარონ ქალაქის აღმასკომს გადასახადის დროზე შემოტანით და ამნაირად მოგვცენ ჩვენ საშუალება პირნათლად დავასრულოთ ის საქმე, რომელსაც აქვს საშვილიშვილო მნიშვნელობა.

ტფილისის ელექტროფიკაციის საქმე ტფილისის მცხოვრებთა ხელშია. მხოლოდ მათი დახმარებით, მათი ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობით შეიძლება ამ დიდი საქმის გაკეთება.

ვისაც სურს აყვავდეს და განვითარდეს ტფილისის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, ის აუცილებლად დაგვეხმარება ამ საქმეში.

ვისაც სურს, რომ ახლო მომავალში უზრუნველყოფილი იქმნეს სინათლით, წყლით და სხვა კომუნალური დახმარებით, ის თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს და ყოველ მხრივ დაგვეხმარება ამ მძიმე მოვალეობის შესრულებაში.

**მუშებო!** მუშათა იდეალის სრული განხორციელება ტეხნიკის უმაღლეს განვითარების ისტორიული გზითაა შესრულებული.

ელექტროფიკაცია—ტეხნიკის განვითარებაა. ამ საქმეში თქვენ უნდა იყოთ პირველ რიგში. თქვენ მიერ ნაჩვენები მაგალითი უნდა იყოს მისაბაძი ყველასათვის.

**მოქალაქენო!** ტფილისის ელექტროფიკაცია სახალხო მნიშვნელობის საქმეა-ტფილისის კეთილ-მოწყობა, გამშვენიერება და ცხოვრების პირობების სასურველად დაყენება,—ეს თქვენს პირად ინტერესსაც შეადგენს.

ამიტომ ამ საქმეში ყველა უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას, არავინ არ უნდა ჩამორჩეს უკან.

სამოქალაქო გადასახადი—ეს დიდი ნივთიერი და ამავე დროს მორალური დახმარებაა ქალაქის აღმასკომისადმი.

და ჩვენ ველოდებით ამ დახმარებას ტფილისის მცხოვრებთაგან.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე: **ლ. დუმბაძე,**
სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ საგანგებო
კომისიის თავმჯდომარე: **გ. კიკნაძე.**
235 1—1 მდივანი: **ხუნდაძე.**

## მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია სთხოვს მუშა-მოსამსახურეთა საქარხნო კომიტეტებს და ადგილკომებს დააჩქარონ მიღება სათანადო პროფკავშირთა გამგეებისაგან მუშა-მოსამსახურეთათვის სპეციალურ მოწმობათა შიგ აღნიშვნით, თუ რომელი კატეგორიით იღებენ ჯამაგირებს და აგრეთვე მიღებ- გადასახადიდან განთავისუფლების მოწმობათა იმათვის, რომლებიც სავალდებულო დადგენილების ძალით განთავისუფლებულნი არიან აღნიშნული გადასახადისაგან.

რომ სამოქალაქო გადასახადის აკრეფის საქმე არ შეფერხდეს, აღნიშნული მოწმობები უნდა იქმნეს აღებული პროფკავშირიდან არა უგვიანეს 28 დეკემბრისა და სახლის პატრონებისაგან წარმოდგენილი საუბნო სამილიციო სამისამართო მაგიდაში სიებთან და გადასახადთან ერთად არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

№ 236 1—1

## სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია ამით აცხადებს

რომ 26 დეკემბრიდან დაწყებულია საუბნო კომისარიატების სამისამართო მაგიდებში მიღება გადამხდელთა სიების და გადასახადის.

გადასახადის მიღება წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 3 საათამდე განუწყვეტლივ.

სახლის პატრონები, ან ის პირნი, რომლებიც აწარმოებენ სახლის პატრონის მოვალეობას, ვალდებულნი არიან 31 დეკემბრამდე წარმოადგინონ თავიანთ მდგმურთა სიები და შეკრებილი გადასახადი, თანახმად ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 15.

გადასახადი შემოაქვთ თანახმად ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული კურსისა:

1) 50 კაპ. ოქროთი გადამხდელებს 125.000 მან. ქართული ბონებით.
2) 1 მან. „ „ 250.000 „ „ „
3) 1 მ. 50 კ. „ „ 375.000 „ „ „
4) 3 მან. „ „ 750.000 „ „ „

აღნიშნული კურსი ოქროს მანეთისა დაწესებულია მხოლოდ 31 დეკემბრამდე თანჩათვლით.

1—1 237 **სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია.**

## დედებო!

სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუმწოვარა ბავშთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. ვერის ბოზარდჟიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. მიხაილოვის რუსტოვის და ნიკოლოზის ქ. კუთხეში № 43.
3. სადგური-სადგურის ქ. № 8, ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა.
4. ორთაჭალის-ვორონცოვის ქ. ადელხანოვის ქარხანა.
5. ავლაბრის-მეტეხის ქ. № 10.

226 5—5 მედიცინის ექიმი **შენგელიძე.**

## საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს საყურადღებოთ**

იმ ანგარიშვალდებულ პირთა და დაწესებულებათა, რომლებზედაც ითვლება გაუმართლებელი ავანსები და ვალები, აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

22 დეკემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი 3—2

## დოქტორი გ. მეგრაბიანცი

**„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“**

შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობისა, რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35




საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.